



მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #65

ივნისი, 2018

გამოშვებაში

1 „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა ინტერნეტმმართველობის საკითხებზე

2 მეწარმეებისთვის ბიზნესომბუდსმენტთან დაკავშირების ახალი ელექტრონული

„მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა ინტერნეტმმართველობის საკითხებზე ევროპულ დიალოგში მიიღეს მონაწილეობა



5-6 ივნისს თბილისში პირველად გაიმართა ევროპული დიალოგი ინტერნეტმმართველობის საკითხებზე (EuroDIG 2018).

ღონისძიებაში მონაწილეობა ევროპის ქვეყნებიდან 500-ზე მეტმა სტუმარმა მიიღო.

ღონისძიებას მასპინძლობა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ გაუწია.

ფორუმზე განიხილეს ყველა ის საკითხი, რომელიც დაკავშირებულია ინტერნეტთან: ადამიანის უფლებების დაცვა ინტერნეტში; ინტერნეტში ცოდნის გაღრმავება; ბავშვების უფლებების დაცვა ინტერნეტში; კიბერუსაფრთხოების საკითხები.

EuroDIG 2018-ის საქართველოში ჩატარება მნიშვნელოვანი მოვლენაა ქართული ინტერნეტსაზოგადოებისთვის. ამ მასშტაბის და მნიშვნელობის ინტერნეტფორუმის თბილისში ჩატარება იმ ფაქტმა განაპირობა, რომ საქართველოში ინტერნეტმმართველობა სწორი მიმართულებით, ინტენსიურად ვითარდება, ინტერნეტი კი ღია და დაცულია.

ფორუმის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ წარმომადგენლებმა - სააგენტოს თავმჯდომარემ, ნიკოლოზ გაგნიძემ და ამავე სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსმა (გაგრძელება გვ. 2),



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge



www.eauction.ge




www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) **ნატალია გოდერძიშვილი**მამსწრე აუდიტორიას გააცნეს საქართველოში ელმმართველობის განვითარების ძირითადი პრინციპები; ელექტრონული სერვისების გავრცელებისა და საზოგადოების ცნობიერების ამაღლების პერსპექტივები; ციფრული ხელმოწერისა და სანდო ელექტრონული სერვისების დანერგვის ქართული გამოცდილება და ამ მიმართულებით გატარებული საკანონმდებლო ცვლილებები. მათ ასევე ისაუბრეს კიბერუსაფრთხოების პლატფორმებზე და მიმოიხილეს სააგენტოს სტრუქტურული ერთეულის - კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT.GOV.GE) მუშაობის პრინციპები.



„EuroDIG-ის ფორმატი საშუალებას გვაძლევს ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებს - დარგის ექსპერტებსა და მთავარ მოთამაშეებს - უშუალოდ გავაცნოთ საქართველოს მიღწევები, რაც გვებმარება კავშირების კიდევ უფრო გამყარებასა და სამომავლო თანამშრომლობის დაგეგმვაში. ჩვენი მიღწევები საინტერესოა ევროპელი პარტნიორებისთვის, ჩვენთვის კი კარგი შესაძლებლობაა გავიზიაროთ მათი გამოცდილება“, - **ნიკოლოზ გაგნიძე**, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

მეწარმეებისთვის ბიზნესომბუდსმენტთან დაკავშირების ახალი ელექტრონული პორტალი ამოქმედდა



დღეიდან მეწარმეებს ბიზნესომბუდსმენტთან დაკავშირებაში ახალი ელექტრონული პორტალი დაეხმარება. ახალი ვებ პორტალი - <https://portal.businessombudsman.ge> - მეწარმეებს მათ წინაშე მდგარი საკითხების გადაწყვეტაში დაეხმარება, რაც ინვესტიციების და სამუშაო ადგილების შენარჩუნებას შეუწყობს ხელს.

პორტალის მეშვეობით მეწარმეები შეძლებენ ელექტრონული ფორმით დაუკავშირდნენ ბიზნესომბუდსმენტს, მათ შორის სამეწარმეო

საქმიანობის ფარგლებში უფლებების დაცვასთან დაკავშირებით. პორტალი მსოფლიო ბანკის ჯგუფის საერთაშორისო საფინანსო კოპორაციის (IFC) საკონსულტაციო პროექტის მხარდაჭერით შეიქმნა. პროექტს შვეიცარიის ეკონომიკურ საკითხთა სახელმწიფო სამდივნო (SECO) აფინანსებს.

„ბიზნესომბუდსმენტის პორტალი კიდევ უფრო გაუმარტივებს მეწარმეებს მოიტანონ ჩვენამდე პრობლემა, ხოლო ჩვენ დაგვებმარება ვიყოთ კიდევ მეტად ეფექტურები მათთან კომუნიკაციაში. მნიშვნელოვანია, რომ ურთიერთობების ელექტრონული ფორმატის მეშვეობით შევძლებთ ვაწარმოოთ ბიზნესომბუდსმენტის აპარატის საქმიანობის ზუსტი სტატისტიკა და ჩვენი მუშაობის შედეგები გახდება მეტად გაზომვადი. ახალი პორტალი ასევე გვაძლევს საშუალებას გავაკეთოთ ზუსტი ანალიზი ჩვენი საქმიანობის შედეგად რა რაოდენობის ინვესტიცია და სამუშაო ადგილები შენარჩუნდა ქვეყანაში. მინდა ამ შესაძლებლობისათვის მადლობა გადავუხადო IFC-ს“, - განაცხადა ბისნესომბუდსმენტმა **ირაკლი ლექვინაძემ**.

იხილეთ ჩვენი საიტები

www.dea.gov.ge; www.my.gov.ge

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50
თბილისი 0102, საქართველო
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40
ელ.ფოსტა: info@dea.gov.ge

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: info@dea.gov.ge და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრიროთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: www.e-government.ge

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ